

## ტესტის სახელწოდება

ტაკროლიმუსის ანალიზი

## ტესტის ალტერნატიული სახელწოდება

FK 506

### რას იკვლევს მოცემული ტესტი?

ეს ანალიზი გამოიყენება სისხლში ტაკროლიმუსის (FK 506) რაოდენობრივად განსაზღვრისთვის.

ტაკროლიმუსი იმუნოსუპრესიული მედიკამენტი, რომელიც ძირითადად ორგანოს ალოგენური ტრანსპლანტაციის დროს ინიშნება. ეს მედიკამენტი გადანერგილი ორგანოს მოცილების რისკს ამცირებს. ამის გარდა, იგი ზოგიერთი ავტოიმუნური დაავადების დროსაც გამოიყენება, მაგალითად, მიასთენიის («მიასთენია გრავის»), ართრიტის და ატოპიური დერმატიტის დროს.

ტაკროლიმუსი სხვადასხვა ფორმით არსებობს – ინექციის, კაფსულების, მალამოს სახით და სხვ.

ამ მედიკამენტს შეიძლება თან ახლდეს მნიშვნელოვანი გვერდითი მოვლენები – ინფექცია, არტერიული ჰიპერტენზია, ღვიძლის და თირკმელების პრობლემები, მხედველობის დაზიანება, გულის კუნთის დაზიანება, ჰიპერკალემია, ჰიპერგლიკემია, შაქრიანი დიაბეტი, ქავილი, ფილტვების დაზიანება და ასევე ნეიროფსიატრიული სიმპტომები – უძილობა, დეპრესია, კოშმარები, ნეიროპათია, ტრემორი და სხვ.

აღნიშნული გვერდითი მოვლენების გათვალისწინებით, ტაკროლიმუსის დანიშვნისას ექიმმა ოპტიმალური დოზა უნდა განსაზღვროს.

ერთი მხრივ, საჭიროა სისხლში ტაკროლიმუსის საკმარისი კონცენტრაციის შენარჩუნება, რათა გადანერგილი ორგანოს მოცილების რისკი მინიმუმამდე შემცირდეს. მეორე მხრივ კი, ასევე მნიშვნელოვანია, რომ ტაკროლიმუსის კონცენტრაცია ძალიან მაღალი არ იყოს, რათა გვერდითი მოვლენების რისკი მინიმუმამდე იქნას დაყვანილი.

### რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება?

ტაკროლიმუსით მკურნალობისას, ეს ანალიზი ინიშნება სისხლში ამ მედიკამენტის კონცენტრაციის მონიტორინგისათვის. მონიტორინგი განსაკუთრებით იმ შემთხვევაშია საჭირო, თუკი პაციენტს CYP3A4-ზე ზემომქმედი საშუალებებიც აქვს დანიშნული. ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით ექიმმა შესაძლოა ტაკროლიმუსის დოზა შეცვალოს. დოზის ოპტიმალური შერჩევით, იმუნოსუპრესიული ეფექტის მიღწევა მინიმალური ტოქსიკურობის ფონზე ხდება.

### როგორ კეთდება ეს ტესტი?

საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

### **როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?**

ამ ანალიზისთვის სპეციალური მომზადება საჭირო არ არის, თუმცა ზოგიერთმა ფაქტორმა ან მედიკამენტმა ტესტის შედეგებზე გავლენა შეიძლება იქონიოს. ამიტომ ანალიზისთვის სისხლის აღებამდე საჭიროა მკურნალ ექიმთან კონსულტაცია.

ტაკროლიმუსის ტესტისთვის ასევე მნიშვნელოვანია, როდის ხდება სისხლის აღება – ჩვეულებრივ, ანალიზი ტაკროლიმუსის უშუალოდ მომდევნო დოზის მიღებამდე კეთდება. ეს იმის საშუალებას იძლევა, რომ ანალიზის შედეგების შედარება მოხდეს და ტაკროლიმუსის კონცენტრაციას დააკვირდნენ.

### **შედეგების ინტერპრეტაცია**

ანალიზების შედეგების ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს ექიმის მიერ, სხვა კლინიკური და ლაბორატორიული მაჩვენებლების გათვალისწინებით.

აუცილებელია ასევე სხვა დანიშნული მედიკამენტების როლის, ტრანსპლანტაციის ტიპის და სხვა მსგავსი ფაქტორების გათვალისწინებაც. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მკურნალი ექიმი სისხლში ტაკროლიმუსის ოპტიმალურ დონეს ადგენს – იმისთვის რომ ორგანოს მოცილებისა და ტაკროლიმუსის გვერდითი მოვლენების განვითარების რისკი მინიმალური იყოს.